№ 265 1877—1900 № 265

ოთხშაბათი, 6 დეკემბერი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ოთხშაბათი, 6 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 8 დეკემბერს.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, რენელის და ბ-ნ გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ეფ. მესხის საბენეფისოდ**

პირველად ახალი პიესა:

I

**შენდობა** (ანუ დენიზა)

დრამა 4 მოქმედ. ა. დიუმასი, თარგ. კ. მესხის მიერ.

II

**ადვოკატთან**

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია  დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

**წმ. ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში განთავისუფლდა **საიმპერატორო სტიპენდია.** სტიპენდია კენჭის ყრით დაინიშნება. კენჭის ყრა მომავალ 1901 წლის 14 იანვარს მოხდება. ვისაც სურს კენჭი უყარონ, იმან თხოვნა და საჭირო საბუთის ქაღალდები გამგეობის სახელზედ უნდა გამოგზავნოს. თხოვნების მიღება 1901 წლის 10 იანვარს შესწყდება.

(3—უ.—1)

**ტფილისის სახაზინო პალატა ამით უცხადებს**

უმაღლესად დამტკიცებულ ამა წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოს მიერ დადგენილ სახელმწიფო საბეგრო და საადგილ-მამულო გადასახადთა გადამხდელთ, რომ გორის და ახალციხის მაზრებში ზემოხსენებულ გადასახადთა გაწერა სამის წლისთვის (1901—1903 წწ.) გორისა და ახალციხის საადგილ-მამულო გადასახადთა საკრებულომ უკვე დაამთავრა და გადამხდელთ მათზედ გაწერილ გადასახადთა რაოდენობა ეუწყა. ზემოხსენებულ კანონის მე-15 მუხლისა და ამ საგნის შესახებ ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის მე-45 მუხლის თანახმად, საკრებულოს მ ერ გაწერილ გადასახადზედ საჩივრის შეტანა შეიძლება მაზრის საადგილმამულო გადასახადთა გამწერ საკრებულოში მომავალ 1901 წლის 15 იანვრამდე. სოფლებისა, ანუ სოფლის საზოგადოებათა საჩივრები შეუძლიანთ სოფლის საზოგადო, ან კერძო ყრილობების მიერ არჩეულ რწმუნებულებმა შეიტანონ.

(1—ნ.—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ვ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, ქართულ თეატრში, ნიჭიერის მსახიობ ქალის ეფემია მესხის ბენეფისია დანიშნული. წარმოადგენენ პირველად ახალ პიესას „შენდობას“ (ანუ „დენიზა“), დრამა 4 მოქმედებად ა. დიუმასი და ვოდევილს „ადვოკატთან“. ამ წარმოდგენაში მობენეფისეს გარდა მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გუნია და სხვა.

*** საერო განათლების სამინისტრო ამ ცოტა ხანში შეუდგება იმის განხილვას, მიეცეთ თუ არა ნება რეალურ სასწავლებელში სწავლა-

## ფელეტონი

**„ნოქტიურნა“ ფილდასი. ოპ. № 13.**

(ანთროპოვისა)

(თავის-მკვლელის დღიური)

(დასასრული*)

4 თებერვალი.

დღეს მამას დიდხანს ველაპარაკე, ყოველივე ვუამბე. გრაფი სეკუნდანტებს გამოჰგზავნის. მუდმივმა და დაუძინებელმა მტერმა ხმლითა და იარაღით საქმის გარდაწყვეტისამ, მამაც შეიწყნარა ეს ჩვენი გარდაწყვეტილება და გრაფთან საბრძოლად გზა დამილოცა... იცით, რა მითხრა: „ოჰ, ბიქტორ! ნუ-თუ მართლა გრაფს უნდა ხმალში შეებრძოლო! ჯერ ქვეყნად არც-კი იყავ დაბადებული, რომ მე და გრაფი ერთმანეთის მეგობრები ვიყავით.

გრაფი ნამდვილი „შეუდარებელი და უშიშარი რაინდიაო“, ყველა ასე ვეძახდით. მაგონდება აგერ, როგორ უკრავდა ხოლმე დედაშენი როიალსა და ჩემს საყვარელს „ნოქტიურნ“-ას უკრავდა და ჩვენ-კი იმ დროს გახურებულს ბუხარს ვუსხედით, ვისმენდით და გულიანად ვბაასობდით ხოლმე. როდესაც სამსახურისა გამო, სამეცნიერო აზრით აღმოსავლეთს გამგზავნეს სამოგზაუროდ, მახსოვს ჩემი პაწია ლინა, ე. ი. დედა შენი, გრაფს მივანდე, შენ იცი როგორც იზრუნებ-მეთქი ლინასათვის... რამდენისამე თვის შემდეგ რომ მოგზაურობიდგან დავბრუნდი, ჩემზედ ბედნიერი კაცი სხვა აღარ მეგულებოდა.—დამებადე შენ და მამა გავხდი... გრაფი ამის შემდეგ საზღვარ-გარედ წავიდა და აქამდის იქა სცხოვრობდა... ეხლაკი... ოჰ, საზარლობავ... იგი ჩემს შვილს მოწინააღმდეგედ, მეტოქედ აღუჩნდა!.. რომ იცოდე, ბიქტორ, რა დაუჯერებელი და მძიმე ასატანია ეს...“

კეთილი მამა!.. ო, როგორ ვამაყობ, რომ მე იმისი შვილი ვარ!

—

4 თებერვალი, ღამის 11 საათი.

ო, ღმერთო, რა ტანჯვა და მწუხარება გამოვიარეთ სწორედ ეხლა! დედას საიდგანღაც შეეტყო, რომ გრაფს ხმალში უნდა შევებრძოლო და გიჟივით კაბინეთში შემოვარდა ჩვენთან. ისრე შეწუხებული დედა ჯერ არსად მენახა: მთლად ცახცახებდა, თვალებიდგან თითქმის ცეცხლს აფრქვევდა... მამას მკლავში ხელი ჩაავლო, ანჟღრევდა და თითქმის დაჰყვიროდა გაფითრებული:

— როგორ, ნებას აძლევ განა, რომ ბიქტორი გრაფს შეებრძოლოს? ეს შეუძლებელია, გესმის, შეუძლებელი!..

შემდეგ მე მომვარდა, გაგიჟებით მკოცნიდა და მემუდარებოდა, რომ ხმალში გასვლაზედ უარი მეთქვა...

— მე შენ გიკრძალავ, გესმის, ჩამძახოდა ტირილით. მთლად კანკალებდა...—მე ხომ დედა ვარ, მე გაგაჩინე, მაშასადამე, არ შეგიძლიან ჩემ მიერ მონიჭებული სიცოცხლე გამომწირო... შვილო, გევედრები უარი სთქვა...

მეტი ტანჯვა-წამების ატანა აღარ შემეძლო, ხელიდგან გამოვუსხლტი და ჩემის ოთახისაკენ გავექანე.

ღმერთო ჩემო, ნეტა, ეს ჩინური ცერემონია და სეკუნდანტები რაღა საჭიროა!.. ოჰ, მალე მაინც გავიდოდეს დრო!..

რომ იცოდეთ, რა სიტკბოებითა და სიამოვნებით ამოვიღებ მიზანში ამ კეთილშობილს „მეგობარს“, ამ „შეუდარებელსა და უშიშარს რაინდს“!..

—

5 თებერვალი.

...ტვინი მიხურს; მიხურს-კი არა, მეწვის... მუხლები მეკვეცება, გულზედ თბ ლი რაღაცა მაწვება. ოთახამდე ძლივს მივაღწიე... ღმერთო დიდებულო! ნუ თუ ყოველივე ეს მართალია? ნუ თუ მართალია, რომ მამა ჩემი ჩემი მამა არ არის?..

ეს არის ეხლა, დედი-ჩემის ოთახის წინ რომ გამოვიარე, მამა ჩემის აღელვებული ხმა შემომესმა. შევდექი, ყური დავუგდე... არ ვიცი რად, მაგრამ მინდოდა უთუოდ გამეგო, რაზედ ლაპარაკობდნენ...

მამა ეუბნებოდა:—ზინა, კმარა, ნუ გვტანჯავ ნურც ჩვენ და ნურც შენს თავს... კარგად იცი, რომ ბიქტორზედ უძვირფასესი აღარა გამაჩნია-რა... მართალია, ჩემი შვილი გაგიჟებით, უზომოდ მიყვარს, მაგრამ მეტი გზა არ არის... ეს კაცი, რომელიც დღემდის საუკეთესო მეგობრად მიმაჩნდა და მიყვარდა, ჩემს შვილს საცოლეს სტაცებს... ბიქტორმა საზოგადოებაში, შეკრებულებაში შეურაცხ-ჰყო იგი, გრაფმა ხმალში გაითხოვა და მოხდება კიდეც იგი, აღარა ეშველება რა... ო, რომ შემეძლოს, ჩემი შვილის მაგივრად მე შევებრძოდი, მაგრამ შეუძლებელია: ბიქტორი ბავშვი აღარ არის, რომ მისთვის მამის დახმარება და ქომაგობა საჭირო იყოს,—ის ეხლა კაცია...

ჯერ საშინელი რახუნი შემომესმა, თითქოს იატაკზედ რამე დაეცაო, და შემდეგ დედის ხმა გავიგონე.

— ჰხედავ, მუხლს ვიდრეკ, ფეხებს გიკოცნი, ოღონდ ნუ იზამ მაგას, ნებას ნუ მისცემ!..

— ზინა, ზინა, გონს მოდი!—ისმოდა აღელვებული მამის ხმა.

— გაიგე, რომ ველარას ვიღონებ!.. მაკმარე, ნუღარა მტანჯავ!..

და აი, ეს საზარლობაც სწორედ მაშინ გავიგონე.

— მაშ თუ აგრეა და არ გინდა იღონო რამე, იმედია, რამდენისამე წამის შემდეგ მაინც ეცდები... იცოდე, მაშ, რომ ბიქტორი შენი შვილი-კი არა, მოგატყუე,—სტროცკის შვილია, მე გრაფთან ვცხოვრობდი... ახლა, თუ გინდა მომკალი, ეგ ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ იმას-კი ვერ ვიზამ, რომ შვილი მამას შეჰბმოდეს მოსაკლავად...

თვალის დახამხამებაზედ მთელი ტანი შემ ყინა... წავიბარბაცე, მაგრამ კარების ყურს ხელი დროზედ მოვჰკიდე და თავი შევიმაგრე.

— სტყუიხარ უთუოდ!.. ოჰ ღმერთო... სტყუიხარ!.. შემომესმა ხრინწიანი ხმა მამისა.

*) იხ. „ივერია“ № 264.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრებულთ უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზედ შესვლა უეგზამენოდ ძველს ენებში.

*** როგორც შევიტყეთ, ამ დღეებში პეტერბურგიდგან ტფილისს რამდენიმე ინგლისელი ინჟინერი ჩამოვა, აქედგან ეს ინჟინერები ზემო ხოდაშენში წავლენ ბაგრატ წერეთლის მამულში ნავთიან ადგილების დასათვალიერებლად. საზოგადოება სდგება ამ ადგილების იჯარით ასაღებად და საწარმოებლად. მემამულეს პირობით უკვე შეჰკვრიან.

*** რწმუნებულს ერთ ინგლისურ საზოგადოებისა, რომელსაც სახელად „რუსეთის შავის-ქვის საზოგადოება“ ჰქვიან, შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებას ნება მიეცეს რუსეთში მოქმედებისა. საზოგადოებას აზრადა აქვს შეიძინოს და აწარმოვოს შავი-ქვის მადნები დარკვეთში, შორაპნის მაზრაში და აგრეთვე რუსეთის სხვა ადგილებშიაც შეუდგეს ქვა-მადნების წარმოებას. საზოგადოებას ძირის თანხად 300,000 მანეთი აქვს. გამგეობა საზოგადოებისა ლონდონშია.

*** ამ ცოტა ხანში საერო განათლების სამინისტრო სასტატო სემინარიათა შტატების გადასინჯვას შეუდგება. სხვათა შორის აზრადა აქვთ სემინარიებში სავალდებულოდ გაჰხადონ ხელოსნობის სწავლება.

*** სამშაბათს, 5 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე გაზეთ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლის ანასტასია მიხეილის ასულის თუმანიშვილ-წერეთლისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან „კვალის“ 1899 წლის მე-38 ნომერში დაბეჭდა კორესპონდენცია, სოფელ ასკანიდგან (გურია) გამოგზავნილი, რომელშიაც ვითომც ასკანის საზოგადოების სამართველოს მწერლად ნამყოფ ყარამან გიტოს ძე ნინიძესათვის ცილი დაეწამებინოთ. ყარამან ნინიძე სთხოვდა სასამართლოს დამნაშავედ ეცნოთ ან. მ. თუმანიშვილ წერეთლისა და სასჯ. დებ მე-1039 მუხ. თანახმად დაესაჯათ. სამოსამართლო პალატამ გუშინ, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ქ-ნი თუმანიშვილი-წერეთლისა და გადასწყვიტა: ჯარიმად გარდახდეს 100 მან., ხოლო თუ ეს ფული ვერ გადიხადა, 2 კვირის ვადით იქმნეს დაპატიმრებული. ქ-ნს ან. თუმანიშვილს საქმე სენატში გადააქვს.

*** განზრახვა აქვთ ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრებში თითო საავადმყოფო დააარსონ და თითო ფერშლის ადგილი დააწესონ. საავადმყოფონი, ტფილისის საგუბერნიო მთავრობის აზრით, მაინც ვერ უშველის საქმეს და ვერ დააკმაყოფილებს ყველას, განსაკუთრებით ისეთს დიდ მაზრებში, როგორც ტფილისისა, გორისა და ბორჩალოს მაზრებია. ტფილისის გუბერნიაში აგერ 10 წელიწადია, რაც ქსენონები არსებობენ, მაგრამ ეს ქსენონები მხოლოდ იმათ ეხმარებიან, ვინც ამ ქსენონების ახლო სცხოვრობენ. გარდა ამისა სოფლის მკურნალები სამსახურის გამო, ორ-სამ კვირას სტოვებენ ქსენონებსა და 200—300 ავადმყოფს ხშირად ფერშლებს უტოვებენ ხოლმე. ეხლა, გუბერნიის ადმინისტრაციის აზრით, თუნდაც დაარსდეს სოფლის საავადმყოფონი და ქსენონები საფერშლო სადგურებად გადაკეთდეს, მაინც არა კმარა, რადგანაც თითო მაზრაში ისევ თითო მკურნალი რჩება. ამისათვის ტფილისის საგუბერნიო მთავრობას აზრადა აქვს ყველა მაზრაში დააარსოს სოფლის საავადმყოფო, მაგრამ იმავე დროს ეხლანდელი ქსენონები ისევე დარჩეს, როგორც აქამდის იყო, მხოლოდ შეიძლება ამ ქსენონებში ბებიისა და ერთის ფერშლის თანამდებობა გაუქმდესო. აგრეთვე მთავრობა ფიქრობს ყველა საპოლიციო ნაწილში საფერშლო სადგურები დააარსოს.

*** კავკასიის მთავარმართებელს დაუვალებია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის შეადგინოს განსაკუთრებული კომისია სავალდებულო დადგენილებათა შესადგენად იმათთვის, ვინც მდინარეებით ხეტყეს ეზიდება. კომისიაში სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას.

*** დღეს სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზედ, ამ სეზონში მეორედ წარმოდგენილი იქმნება სცენის მოყვარეთაგან „ორი ობოლი“.

*** ტფილისელ ნოქრებს აზრადა აქვთ, როგორც „ახ. მიმ.“ გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღძრან სავაჭრო დროს განწესრიგების შესახებ. ნოქრებს უნდათ, რომ სხვა სავაჭრო დაწესებულებაშიაც ვაჭრობის ისეთი წესი იქმნას შემოღებული, როგორიც პაპოვისა, პერლოვისა, დოროჟნოვისა და ზოგიერთ სხვა მაღაზიაშია, ე. ი. ვაჭრობა მხოლოდ დილის 8 საათიდგან საღამოს 8 საათამდე იყოს. ამ ჟამად ზოგიერთი ვაჭარნი თავიანთ მაღაზიებს დილის 6—7 საათზედ აღებენ და მხოლოდ ღამის 12 საათზედ ჰკეტავენ, ასე რომ ნოქრებს ხუთი-ექვსი საათი ძლივსა რჩებათ დასასვენებლად.

*** ხვალ, 7 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტი განიხილავს ორ საქმეს—სიღნაღის მაზრის ქოდალოს ნაწილის ბოქაულის თავ. ჯორჯაძისას და ბოქაულის თანაშემწედ ყოფილის ბ. მეფისაშვილისას, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა ჰბრალდებათ.

*** როგორც „ახ. მიმ.“ გადმოგვცემს, კავკასიის სამთო გამგეობას ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთათვის სავალდებულო გაუხდია მაღაროებში ვენტილიაცია გამართონ. ვენტილიაცია მაღაროებში დიდად საჭიროა, რადგანაც მუშებს საშინლად შეხუთულ ჰაერში უხდებათ მუშაობა.

*** 7 დეკემბერს ახალქალაქში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია სხვა-და-სხვა საქმეების განხილვას შეუდგება. სესია 12 დეკემბერს ახალციხეში გადავა, სადაც 14 დეკემბრამდე დაჰყოფს.

*** 4 დეკემბერს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს შეუდგენია სია ქუთაისის გუბერნიის ადგილისა, სადაც შეიძლება შეტანილ იქმნას ამერიკული ვაზი სანერგეებიდგან და საზღვარ-გარეთიდგან. ასეთ ადგილად ჩასთვალეს, სხვათა შორის, რაჭის მაზრაში ახალ-სოფელი, სადაც ამ ზაფხულს ფილოქსერა აღმოჩენილა.

*** განზრახვა აქვთ ტფილისის ვაჟთა მე-III გიმნაზიის შენობისათვის ვერაზედ საუფლისწულო უწყების სარდაფის ახლო მიწა შეიძინონ.

*** ბ-ნი პარუხოვი და ოქოევი მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გასამართავად საბალოსნო სკოლის ახლო მიწას უთმობენ. გამოფენის გამმართავ კომისიას აზრადა აქვს ამ ადგილზედ გამართოს მომავალი გამოფენა. („ახ. მიმ.“)

*** როგორც შევიტყეთ, პანკისის ხეობაში თიონეთის მაზრაში ვერცხლის მადანი აღმოჩენილა.

*** ტფილისის გუბერნიის მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი გაგზავნილია გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში აღმოჩენილ გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

*** როგორც ბათუმიდგან იუწყებიან, ამ დღეებში შავ ზღვაში ოსმალთა გემი დაღუპულა, რომელზედაც 176 აჭარელი ყოფილა.

*** ჟურნალ „მწყემსში“ იბეჭდება პროფ. ხახანაშვილის საყურადღებო წერილები ამ სათაურით „არიან თუ არა ქართველი კათოლიკენი?“ პირველი წერილი მე-22 ნომერში დაიბეჭდა.

*** „ცნობის ფურცელი“ სწერს: „როგორც გადმოგვცეს, ამას წინად გარდაცვალებულს ტყის რევიზორს ალექსანდრე ბაქრაძეს დარჩენია დიდი ბიბლიოთეკა რუსულისა და ქართულის წიგნებისა. განსვენებულს სიცოცხლის დროს რამდენჯერმე უთქვამს, რომ ბიბლიოთეკა უნდა უანდერძოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, მაგრამ უეცრად გარდაცვალებას ხელი შეუშლია განსვენებულისთვის. ეხლა, როგორც გავიგეთ, მის ძმას, კონსტ. ბაქრაძეს და დებს განუზრახავთ სისრულეში მოიყვანონ ძმის განზრახვა.

*** განსაკუთრებულ კომისიას ამ დღეებში დაუთვალიერებია ნ. ე. ზუბალოვის სახლი, რომელიც განსვენებულმა ქალაქს უანდერძა და რომელშიაც განზრახვა ჰქონდათ დარიბთა თავშესაფარი მოეთავსებინათ. კომისიას მოუხერხებლად უცვნია ამ სახლში თავშესაფარის მოთავსება და გადაუწყვეტია, სხვა შენობა მოსძებნონ.

*** გასულ ნოემბერს ტფილისში მუცლის სახადით ავად გამხდარა 5 კაცი, ინფლუენციით—1, ყვავილით—2, ხუნაგით—15 და ყელჭირვებით 35 კაცი.

*** სოფ. გელენჯიკი (შავის ზღვის პირის გუბერნიაშია) „ზოსადად“ უნდათ გადააკეთონ.

*** ამ დღეებში ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში გაუშინჯნიათ თიხის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ წნილის ჩასაწყობად ხმარობენ. როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ზოგიერთი ასეთ ჭურჭლის ხმარება მავნებელია თურმე, რადგანაც ბევრ სპილენძსა და ტყვიას შეიცავს, რომელიც ადვილად იხსნება ძმარში.

*** კავკასიის ოლქის სამხედრო-სამკურნალო გამგეობამ ნება დართო ახლად ჯარში გაწვეულ ემაწვილ კაცებს უცაველი აუცრან ახალის „ყვავილის ლიმფით“ (оспенна лимфа), რომელსაც მკურნალ პროზოროვსკის ყვავილის საცრელ ინსტიტუტში ამზადებენ. ეს „ყვავილის ლიმფა“ მკურნალთა განსაკუთრებულს კომისიას გამოუცდია და კარგის თვისებისა გამომდგარა.

*** ქალაქის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში 1-ლ ნოემბრამდე 42 ავადმყოფი ყოფილა, ნოემბერში 1 ქალი გარდა-

---

— არა, არ ვსტყუი, მართალია! ბიქტორი იმისი შვილია და არა შენი, მე მხოლოდ გატყუებდი შენ,— გაჰყვიროდა დედა...

— გაჩუმდი მაინც, შე წყეულ-შეჩვენებულო!— ძლივს-ღა წაილუღლუღა მამამ.—გაჩუმდი... იმან მაინც არ გაიგონოს...

თითქოს გავქვავდი... მინდოდა დამეყვირა, დამეკივლა ისე, რომ მთელს სახლს გაეგო: აქა ვარ, მამი... და ყველაფერი გავიგე მეთქი.. —მაგრამ სული ყელში მომებჯინა, რაღამაც შემხუთა. მინდოდა შემელო კარი და ჩემს საბრალო მამას მოვხვევოდი, მაგრამ ხელი მომიდუნდა, კარის ყური ველარ დავწიე...

— მაშ გრაფი შენი საყვარელი იყო? მაშ აგრე? მატყუებდი?.. მაშ როდესაც ფილდას „ნოქტიურნს“ უკრავდი ხოლმე, შენი საყვარელი მიჯდა გვერდით?.. მაშ, ჩემი შვილი... ჩემი ბიქტორი... არა, არა, ეს შეუძლებელია!.. მაგრამ კარგი... დეე, ის საყვარელი იყოს შენი,— ოღონდ .. ღვთის გულისათვის... შვილს მაინც ნუ მიკარგავ!.. სთქვი, რომ მომატყუე! ჰა? ბიქტორ ხომ ჩემი შვილია?.. გევედრები, ყველაფერს ნუ გამომწირავ; მომკალ, მაგრამ აგრე ბარბაროსულად, აგრე სულ მდაბლად ნუ მომკლავ... მითხარ, შე წყეულო: ჩემი შვილია ის თუ არა? არ გესმის, მითხარ?.. მამა ძლივს-ღა ლაპარაკობდა... ხმა მთლად გამოეცვალა, ველარა ვცნობდი...

— არა, არა... არ არის შენი,— ჩურჩულებდა გამწარებული დედა.— ახლა შენ ყველაფერი იცი... ყველაფერი იცი... ყველაფერი... რაც გსურდეს, ისა ჰქმენ, ნულარ აყოვნებ... ხმალში იგი ველარ გავა...

მამას უცბად ნამდვილი მხეცური ღმუილი ამოჰსკდა გულიდგან...

— წადი... თითონ შენ წადი საყვარელთან...—ოდნავ-ღა ლუღლუღებდა გახრინწიანებული მამა.

— დიახ, წავალ... ახლავ წავალ, მაგრამ ბრძოლა კი არ მოხდება, არა!

დედა უცბად კარებისაკენ წამოვიდა!

იმის წარმოდგენაზედ, რომ ახლავ ამ საზარელს წამში, ამ დედაკაცს შევხედავდი, ღონე დამიბრუნდა... კარებს ხელი ვანებე და ბარბაცით ჩემის ოთახისაკენ წაველ საჩქაროდ.

ოჰ, ღმერთო, ნეტავი, მალე მაინც მოვშორდებოდე აქაურობას... გავიქცე, საითაც უნდა იყოს... ახლა-კი ვიცი, რაც უნდა ვქმნა! ამ დედაკაცის, ე. ი. დედი ჩემის პირზედ შეხედვა აღარ შემიძლიან. მამისაც აგრევე... ხა-ხა-ხა-ხა! მაგრამ რომელი მამის? ახლა ხომ ორი მამა მყავს... ჩქარა, ჩქარა... ბარათს დავტოვებ, რომ ხვალ დილით დავბრუნდები.

მაშასადამე ეს ღამე კიდევ ჩემია.

—

5 თებერვალი, ღამის 2 საათი...

უცნაურია: ამ ჟამად სრულიად დამშვიდებული ვარ... მაშ მართალი ყოფილა ის, რომ თავის მკვლელები რამდენისამე საათის წინად თავის მოკვლამდე შესანიშნავად დამშვიდებულნი არიან, არაფერი არ აწუხებთო...

აი რა მივწერე: „თქვენგან მონიჭებული სიცოცხლე თქვენვე წამართვით“...

საყურადღებოა ვიცოდე: ნეტა, ახლა შინ რაღა ამბავია? დედა... რატომ არ შემიძლიან, ნეტა, ახლაც ძველებურად დედა დავუძახო? დედის მაგივრად თავში ახლა სულ: ეს დედაკაცი მიტრიალებს... დედაკაცი თავისს ძველ საყვარელთან, მამა ჩემთან წავიდა... იგი უთუოდ ტირილით შეევედრებოდა, რომ ჩემთან ბრძოლაზედ უარი ეთქვა და გაუმჟღავნებდა, რომ მე მისი შვილი ვარ... ხა-ხა-ხა-ხა! წარმომიდგენია, ამ „შეუდარებელსა და უშიშარს რაინდს“ სახე როგორ დაელმანჭებოდა...

მაგრამ მამა რაღას სჩადის ნეტა?.. ე. ი. მამა-კი არა, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რასტინსკი... ოჰ, ღმერთო, შემიბრალე!.. საიდგან ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, როდესაც ის მამაა ჩემი!.. მაგრამ საიდგან მამა, როდესაც მამა ჩემი გრაფი სტროცკია?... ვგონებ, აზრები როგორღაც მერევა... ოჰ, რა მწუხარებაა!.. აგერ... თითქოს თვალით ვხედავდე ამ სურათს: დიდი ოთახია... ოთახის ბოლოში ბუხარში ცეცხლი ღუის, რომლის შუქიც გარშემო საგნებს ალისფრად აელვარებს... ბუხართან მამა ჩემი ზის... ის-კი... გრაფი... ისაც ხომ მამაჩემია... ეს დედაკაცი... ე. ი. დედაჩემი როიალს უზის... იგი ორთავეს მომხიბლველის ღიმილით შეჰყურებს... აგერ დაჰკრა როიალს ხელი და გაისმა მელოდია, რომელშიაც ფილდას „ნოქტიურნ“-ას დაფარული დაღვრემილება და ვნება სავსებით იხატება... მაგრამ ეს რა სულელური აზრი მებადება!.. რატომ უთუოდ ამ სურათს ვხედავ და არა სხვას? რად არ შემიძლიან, მაგალითად, ნინო გავიხსენო?.. მაგრამ... ჩემთვის ახლა ეგ ორივე ერთია...

რაღა დამრჩენია ნეტა? თავის მოკვლის შესახებ ბარათი უკვე დაწერილი მაქვს, სხვას-კი აბა ვის რას მივწერავ?

ამ რვეულს „ნოქტიურნა“ რად დავაწერე ნეტა? მიხეევს მშვენიერი მოთხრობა აქვს, სახელად „ნირვანა“. მოთხრობის გმირი რომაელ ეპიკურისავით ხელში ყანწით იკლავს თავს და ამავე დროს მთელს ქვეყანას სწყევლის და ჰკრულავს... მაშ, როგორცა სჩანს, სიკვდილი არც ისე ადვილი ყოფილა და ვიდრე სულს ვძლევდეთ, საჭიროა თურმე ხორცი როგორმე მივაძინოთ, შიში მოვიცილოთ?..

ოჰ, ნეტავი ღვინო მაინცა მქონდეს!..

მაგრამ, დროა ბიქტორ... ნულარ აყოვნებ!.. წყეული თითები, წყეული უძლურობა!.. სჩანს სიკვდილისა მეშინიან?..

მაგრამ არა, ვინა სთქვა! მეშინიან-კი არა, ვმადლობ, ვლოცავ სიკვდილსა!.. და ვსწყევლი და ვკრულავ სიცოცხლეს და მასთან ერთად, ყოველსავე სულდგმულს, ვსწყევლი იმ დედაკაცებს, რომელთაც სახლში სხვისი შვილები შეჰყავთ და ქმრებს თავისად აჩვენებენ, ვსწყევლი იმ დედებს, რომლებიც... ვსწყევლი სიყვარულს, როგორც სამარადისო სიცრუეს, თავის მოტყუებას... ა!.. აგერ ისიც—ნირვანა... ვგრძნობ, როგორ მიახლოვდება, როგორა მყინავს...

—

დღიური თავდება.

ინ-ანი

ცვლილა; 1-ლ დეკემბერს 41 ავადმყოფი დარჩენილა; საავადმყოფოში 4 ადგილია თავისუფალი (ქალთა განყოფილებაში).

*** შაბათს, 2 დეკემბერს, შუკერტისა და ამხანაგობის კანტორაში, რომელიც მოთავსებულია სათავად-აზნაურო ქარვასლაში, 1,950 მან. ოქროს ფული მოუპარავთ.

*** 5 დეკემბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ აქსტაფასა და ტატლუს შორის ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა ნელა მომავალ მატარებლის ერთი ვაგონი გასტეხეს და 9 ტომარა გრაფიტი მოიტაცეს.

## ტომსკის უნივერსიტეტი და აქ მოსწავლე ქართველობა

1888 წლიდგან დაწყებული ქ. ტომსკი დიდის ამბით დღესასწაულობს 22 ოქტომბერს ყოველ წლობით. ეს დღე სამახსოვრო დღეა არამც თუ მარტო ქ. ტომსკისათვის, არამედ მთელის ციმბირისათვის, რადგანაც ამ დღემ მიანიჭა მის მცხოვრებთ გონების ზრდა განვითარების საუკეთესო საუნჯე — უნივერსიტეტი. ეს დღეა — დღე ტომსკის უნივერსიტეტის დაარსებისა. ყოველი ციმბირელი (განსაკუთრებით-კი ტომსკელი), ამ წმიდათა-წმიდისადმი თანაგრძნობით აღვსილი, გულის ფანცქალითა და განუსაზღვრელის სიხარულით მოელის ყოველ წლობით ამ დიდებულს დღეს, რომელმაც ამ შორეულს, მივიწყებულსა და თითქმის ბნელით მოცულს უზარმაზარ ნაწილს რუსეთის იმპერიისას ნათელი მოჰფინა. ყოველი მათგანი ემზადება ამ დღეს სიტყვით თუ საქმით ღირსეულად შეჰხვდეს.

გათენდა იგიც. მართლაც და საუცხოვო სანახავი იყო ამ დღეს უნივერსიტეტის უმთავრესი შენობა. შესავალ კარებიდგან დაწყებული ტაძრის კარებამდე, კარიდორები და კიბეები ფერადის ხალიჩებით იყო დაფენილი. ხალიჩებს აქეთ-იქით ჩამწკრივებული, უნივერსიტეტის ორანჟერეიდგან მოტანილი ყვავილები და ხეები სამხრეთის კეკლუცად მორთულს ბაღს წარმოუდგენდნენ ადამიანის თვალს. ასეთისავე ყვავილებითა და ხეებით იყო მორთული უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი და თვით ტაძარიც, სადაც ამ დღეს ყოვლად სამღვდელო ტომსკისა და ბარნაულის ეპისკოპოსი მაკარი ბრძანდებოდა მწირველი წარჩინებულის სამღვდელოებითურთ. ტაძარი და მის გარემო კარიდორები სავსებით სავსე იყო გარეშე ხალხით, სტუდენტობითა და სხვა სასწავლებლების მოწაფეებით, წარჩინებულ პირებითა და პროფესორებით. წირვისა და სამადლობელი პარაკლისის გარდახდის შემდეგ, საპატიო სტუმრები უნივერსიტეტის მთავრობამ საუზმეზედ მიიწვია, რომლის შემდეგაც სააქტო დარბაზში გამოვიდნენ. დარბაზი შუადღის თორმეტ საათიდგანვე გაივსო ხალხითა და სტუდენტებით. ნაშუადღევის პირველ საათზედ ბ-ნ მ. ს. სობოლევმა (პოლიტიკურ ეკონომიის პროფესორმა) სააქტო სიტყვა დაიწყო შემდეგის სათაურით „ეკონომიური მნიშვნელობა ციმბირის რკინის გზისა“, რომელშიაც ხელოვნურადა და ნათლად გამოხატა ხსენებულის გზის დიდი მნიშვნელობა ციმბირის მომავალ წინმსვლელობასა და მისს ეკონომიურს განვითარებაში. მსმენელთ ორატორი ხანგრძლივის ტაშითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვეს. შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა ბ-მა ა. ი. სუდაკოვმა წაიკითხა წლიური ანგარიშიდგან გამოკრებილი მოკლე ცნობები და მისალოცი დეპეშები, ამავე უნივერსიტეტში ნამყოფ პროფესორებისა და სტუდენტებისაგან გამოგზავნილი.

ამავე დღეს ტომსკის საკრებულო დარბაზში „შეუძლებელ მოწაფეთა დამხმარებლის საზოგადოების“ მიერ გამართული იყო საცეკვაო საღამო. საღამომ დიდ-ძალი ხალხი მოიზიდა, რომლის უმეტესობას უნივერსიტეტისა და სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტობა და სხვა ადგილობრივი სასწავლებლების შეგირდობა შეადგენდა. დართულ დაკაზმულის მოცეკვავე ახალგაზრდობით გავსებული დარბაზი საუცხოვო სანახავი იყო. ყოველს მოცეკვავესა და მაყურებელს სახეზედ მხიარულება ეტყობოდა. მათ შორისვე ნახავდით მზრუნველობით აღსავსე პროფესორებს, რომელთა გარშემოც თავი სტუდენტობას მოეკრიბა და მათთან გულ ახდილ ბაასში ატარებდა დროს.

საღამომ სიამოვნებით, წყნარადა და მშვიდად ჩაიარა. ამ საღამომ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კასსას 2000 მან. შესძინა.

მეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ საზოგადოების სიმპატიური დანიშნულება. აღნიშნული საზოგადოება შეუძლებელს ახალგაზრდობას ტომსკის სასწავლებლებისასა და განსაკუთრებით-კი სტუდენტობას გაჭირვების დროს დიდს შემწეობას უწევს. მაგრამ წრეულს ტომსკის სტუდენტობის გაჭირვება თითქმის ენით გამოუთქმელია. მიზეზი ამ გაჭირვებისა შემდეგია: 1) წარსულ მაისის 17 ცეცხლის გაჩენა ტომსკში, რომელმაც 600—700 სახლობა მთლად უჭეროდ დასტოვა და ამის გამო სახლების ქირის ერთი ორად მომატება, 2) სამხედრო ბეგარა ჩინეთთან გამოწვეულ ომის გამო და აუარებელის მხედრობისა და ჯარების დაბანაკება ქ. ტომსკში, რომელმაც დიდად გააძვირა სახლების ქირა და სურსათის ფასს ერთი ორადა და სამად უმატა; 3) წრევანდელი მოუსავლობა ტომსკის გუბერნიაში და 4) სატეხნოლოგო ინსტიტუტის გახსნა ტომსკშივე (პირველად 215 სტუდენტი მიიღეს), რომელმაც უიმისოდაც მცირე საშოვარი სტუდენტობას მთლად შეუმცირა და აგრევე იმოქმედა სახლების ქირის მომატებაზედაც.

ტომსკის სტუდენტობის გაჭირვებას გაზ. „ციმბირის ცხოვრებაც“ კარგად გვისურათებს (იხ. № 222, 1900 წ.) თავისს მეთაურს წერილში ამ სათაურით: „ადგილობრივის უნივერსიტეტის ცხოვრებიდგან“, რომლის ავტორიც ვრცლად მოგვითხრობს ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტობის ახლად შემსვლელ რიცხვის თანდათანობითს შემცირებას. „მიზეზიო, — სხვათა შორის, ვკითხულობთ ხსენებულს წერილში, — შემამცირებელი უნივერსიტეტში ახლად შემსვლელ სემინარიელთა რიცხვისა *) მათის ცხოვრების მატერიალურ პირობებით აიხსნება. სემინარიელები ტომსკში საქმის შოვნის იმედმა და ცხოვრების სალსრის აღმოჩენამ მოიზიდა. უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში, როდესაც სტუდენტთა რიცხვი მცირე იყო, სამუშავრის შოვნა ადვილად შეეძლოთ. მართალია, საფასური, როგორც ყოველთვის, მცირედი იყო, მაგრამ, ცხოვრების სიიაფის მიხედვით, სტუდენტს ცხოვრების სალსარი ყოველთვის შეეძლო ადვილად ეშოვნა. ახლა დრო იცვალა, სტუდენტთა რიცხვი წლითი-წლობამდე გამრავლდა, ხოლო სამუშავარი იგივე დარჩა; ვეღარ დააკმაყოფილა ყველა შეუძლებელი. გაძვირდა ყოველიკე. მცირე საშოვრით ცხოვრება გაძნელდა. სტუდენტი წინანდელ საშოვრით არსებითს მოთხოვნილებასაც-კი ვეღარ იკმაყოფილებს. ამ ორის წლის წინედ შედგენილ ტომსკის სტუდენტების ნივთიერ მდგომარეობის სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ თითო მათგანი თვეში 13 მანეთამდე შოულობდა, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში ხარჯად 16 მანეთამდე უნდებოდა, გარდა ჩაცმა დახურვისა და მათი შეძლების შეუფერებელ ლექციების მოსასმენ გარდასახადისა, რომელსაც, მომეტებულ ნაწილად, ან შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება იხდის, ან თვით უნივერსიტეტის მთავრობა. ამ სახით, ორის წლის წინადვე შეეტყო, რომ ტომსკის სტუდენტის ცხოვრებაში ხარჯმა უსწრო შემოსავალსა და გაჭირვება გაუათკეცდა. წელს ცხოვრების პირველ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგნებზედ ტომსკში ფასმა საშინლად იმატა. როგორც სტუდენტები მოგვითხრობენ და აგრეთვე ოთახისა და სმა-ჭამის საფასურის ანგარიშიდგანა სჩანს, სტუდენტს ტომსკში ცხოვრება საშუალო რიცხვით თვეში 20 მანეთად უჯდება. რაც შეეხება საშოვარს, თუმცა ნამდვილი ცნობები ხელთ არ გვაქვს, a priori შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წინა წლებთან შედარებით — არა მოჰმატებია-რა, თუ არ დაჰკლებია-რა. იგივე დარჩა — რაც წინეთ, — სახელდობრ: გაკვეთილები, გალობა, გადაწერა და გარდა ამისა, სტუდენტების რიცხვმაც იურიდიულ ფაკულტეტისა და ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის გახსნით, ერთი ხუთად და მეტად იმატა. შრომის შეძლევა (предложеніе) გადიდდა, ხოლო მოთხოვნილება (спросъ) მისი დარჩა წინანდელი. მოცილეობას (конкуренція) მოჰყა შემცირება საშოვარისა და უქონელ სტუდენტთა საცხოვრებელ სალსარზედ დეფიციტმაც ძალა უნებურად იმატა. უსაქმოდ დარჩენილებზედ ჩვენ არას ვამბობთ, რომელნიც სამუშაოს ამაოდ ეძებენ. ამას ნათლად გვისურათ-ხატებს თვით სტუდენტთა და ტეხნოლოგთაგან ადგილობრივის გაზეთების ფურცლებზედ მოთავსებული განცხადებები. აი მათი ნიმუშები: „ვამზადებ ბავშვებს იაფად, — მცირე საფასურით, — სმა-ჭამის საფასურით, — ოთახის საფასურით, ანუ — საჭიროა სამუშაო“ და სხვ... ნათქვამიდგან ცხადადა სჩანს, რომ ბრძოლა არსებობისათვის ტომსკის სტუდენტთა შორის ამ უკანასკნელს დროს საშინლად გამწვავდა“...

(დასასრული იქნება).

*) ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტობა მომეტებულ ნაწილად სასულიერო სემინარიაში სწავლა-დამთავრებულთაგან შესდგება. მათი რიცხვი 78% შეადგენს, ხოლო დანარჩენი 22% გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულნი არიან.

# რუსეთი

მთავრობის წინაშე მრავალმა ერობამ და კერძო კაცებმა აღძრეს შუამდგომლობა პრაქტიკულ სასოფლო სამეურნეო სკოლების დაარსების შესახებ. ეს სკოლები ბევრით განსხვავდებიან დღემდის არსებულ სამეურნეო სკოლებისაგან. სამეურნეო პრაქტიკულ სკოლებისათვის გადადებულია მხოლოდ 25 ათასი მან. ეხლა მეურნეობის დეპარტამენტი ამისათვის 35 ათას მანეთსა თხოულობს.

— „სახალხო სკოლების მასწავლებელთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებამ“ სთხოვა გუბერნიების ერობებს შემწეობა აღმოუჩინონ ყირიმში ავადმყოფ მასწავლებელთათვის სანატორიის დასაარსებლად.

— პეტერბურგის საპედაგოგიო საზოგადოებას განუზრახავს დააარსოს „მასწავლებელთა სახლი“. ამ სახლში მოთავსებული იქნება საპედაგოგიო წიგნთ საცავი, სამუდამო გამოფენა საპედაგოგიო ნივთებისა, საკუთარი დამზღვევი საზოგადოება, შემნახველ-გამსესხებელი კასსა და ბინა პროვინციიდგან მოსულ მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის.

— კიევის უნივერსიტეტიდგან 16 სტუდენტი დაუთხოვნიათ სწავლის ფასის შემოუტანლობისათვის.

— უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა აცნობონ იმათ, ვისთანაც სასულიერო უწყების სასწავლებლების მოწაფენი სცხოვრობენ, რომ თუ ამ მოწაფეების ხელში თოფი, რევოლვერი ან სხვა იარაღი უნახა სასწავლებლის მთავრობამ, ასეთი მოწაფე დაუყოვნებლივ სხვაგან იქმნება გადაყვანილი. მოწაფეების დედ-მამასაც უნდა აცნობონ ეს განკარგულება, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთ შვილებს.

— როგორც მეურნეობის სამინისტროს ცნობებიდგანა სჩანს, რუსეთში ოქტომბრისათვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და ამ საზოგადოებათა განყოფილება ყოფილა სულ 449.

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** „Berliner Tageblatt“-ის რომელს კორესპონდენტს პოლკოვნიკ რიხჩიარდისთან, რომელიც ტრანსვაალში მებრძოლ უცხოელთა რაზმს უფროსობდა, ლაპარაკი ჰქონია. რიხჩიარდი ნემეცების ვაჟკაცობასა და დისციპლინას დიდის ქებით იხსენიებს თურმე და ამბობს, რომ დრო გამოშვებით ნემეცები თითქმის სასწაულებს ახდენდნენ. ასე, მაგალითად, აპრილში 80 ნემეცმა გულჩმაკარის მახლობლად სამის დღის განმავლობაში 4,000 ინგლისელს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ იმიტომ-და დაიხიეს უკან, რომ ზარბაზნები არა ჰქონდათო.

მაგრამ ყველაზედ საუკეთესო და მხნე მეომრად, რიხჩიარდის აზრით, რუსები უნდა იქმნენ მიღებულნი, რომელთაც დანარჩენ ღირსებებთან ერთის ძვირფასი ღირსებაც აქვთ, რომ შესანიშნავად აუზჭარებლები და გულცივები არიან, რაიცა არც ერთის სხვა ერის ჯარის-კაცს არა აქვსო. რიხჩიარდის აზრით, სამხრეთ აფრიკის ომში ინგლისელებს 80,000 კაცი დაუკარგავთ (ამათში ისინიც უნდა ჩაითვალნენ, რომლებმაც აფრიკის სასტიკი ჰავა ვერ აიტანეს და თან გადაჰყვნენ). ბურებს ამ ჟამად 10,000 კაცი-და ჰყავთ შეიარაღებული, რომელთაც ერთის წლის სამყოფი სამხედრო სურსათი კიდევ აქვთო.

ერთად-ერთი იმედი ბურებისა ამ ჟამად კაპის ახალშენის მცხოვრებთა ამბოხება-და, რომელსაც 90,000 შეიარაღებულ კაცის გამოყვანა შეუძლიანო, — ამბობს რიხჩიარდი.

— ინგლისის სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გამოსცა, რომლითაც სამხრეთ-აფრიკის ომში მონაწილეობის მიმღებთ შემდეგი ჯილდო მიეცემათ: ფელდმარშალს — 2,500 გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი 9 მან. 50 კ. — 10 მანეთამდეა), გენერალ-ლეიტენანტს — 760 გირ. სტერლ., სრულს გენერალს — 2,000 გირ. სტერ., გენერალ-მაიორს — 389 გირ სტერლ., ბრიგადის გენერალს — 285 გირ. სტერ., დანარჩენს ოფიცრების ხარისხის მიხედვით 30-დგან 200 გირ. სტერლინგამდე; სულ მცირე ჯილდო ჯარის-კაცებისა 5 გირ. სტერლინგია.

— როგორც ბოლონდელი დეპეშები იუწყებიან, ახალმა სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა თურმე განაცხადა პარლამენტში, მორთულია ომი შესწყდაო (?), მაგრამ მხედრობა, მილიცია და თავისუფალნი მეომარნი მაინც სამხრეთ აფრიკაში დარჩებიანო. სამხრეთ აფრიკაში ომზედ ინგლისს დღემდის 85 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჰხარჯვია, ხოლო ახალის ხარჯით, რომელიც ამას იქით დასჭირდება, 100 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს დაიჭერს, ეს-კი ერთად 2½ მილიარდს ფრანკს უდრის, ე. ი. ნახევარს იმისას, რაც 1870-71 წლის ომის შემდეგ საფრანგეთმა სამხედრო საზღაური გაიღო. გარდა ამისა, დიდს ბრიტანიას მოუკლეს 50,000 კაცი და 200,000 ცხენი და ბევრი ისეთი ზარალი მოუვიდა, რომელიც დაწვრილებით გამოანგარიშება შეუძლებელია.

**გერმანია.** მთავრობის პოლიტიკის შესახებ ბიულოვმა შემდეგი განაცხადა: „ზატტლერის (ნაციონალ-ლიბერალის) ყველა კითხვებზედ პასუხის მიცემა არ შემიძლიან, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვარ მასი და მის წინად მოლაპარაკე ორატორისა, რომ საშუალება მომცეს კრიუგერის მოგზაურობისა და ჩვენის დამოკიდებულების შესახებ სამხრეთ აფრიკის ომში აზრი გამომეთქვა. ჩვენ გულწრფელად შევწუხდით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებსა და ინგლისს ომი მოუხდათ. ამ გარემოებიდგან ჩვენ მხოლოდ ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ მშვიდობიანობისა და ჩვენის უფლებების დასაცველად მხოლოდ საკუთარი ძალა იყო საჭირო. ომმა დიდად საყურადღებო გერმანიის საგნები წამოაყენა. სამხრეთ აფრიკის სამრეწველო საქმეებში გერმანიისა ასი და ორასი მილიონი ფულია ჩაერიდი. ამისათვის ჩვენი მოვალეობა იყო გვეზრუნა, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩვენის ქონებისათვის არავითარი ზარალი არ მიგვეყენებინა. ჩვენ ადრევე უკვალივე დონისძიება ვიხმარეთ, რომ ომი თავიდგან აგვეცილებინა და რესპუბლიკებსაც ვაცნობეთ, თუ ევროპაში საქმე რა ვითარებაში იყო და ან ჩვენ როგორს ნეიტრალიტეტს ვიცავდით. დავასახელებ ჰოლლანდიელთა ყვითელს წიგნს. როდესაც 1899 წ. მედიატორეთა სამართალი შესაძლებელი იყო,

მაშინ კრიუგერმა შეუფერებლად სცნო ის დრო. როდესაც რამდენისამე ხნის შემდეგ კრიუგერმა ისევ მოითხოვა იგივე მედიატორეთა სამართალი, მაშინ უკვე სხვა რიგ ფიქრობდნენ სახელმწიფონი. მაშინ გერმანიამ და ჰოლანდიის მთავრობამ ხელ ახლად მიჰმართეს ტრანსვაალს რჩევით. გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ რომელისამე დიდის სახელმწიფოს ჩარევა რესპუბლიკისათვის დიდად საშიში იქმნებათ, ვუპასუხეთ მაშინ. აქედგან ნათლადა სჩანს, რომ ომის დაწყებასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების ხვედრში ჩვენ არა გვესაყვედურება-რა. ჩვენ რომ თითო კარებში გავვეყო და დაგვეძქვა, ამითი ბურებს არაფერს სარგებლობას არ მოვუტანდით და ჩვენ კი ვიზარალებდით. (სრულიად მართალია!) საქვეყნო ინტერესებისა და ჩვენის ინტერესების დასაცველად უთუოდ ნეიტრალიტეტი უნდა დაგვეცვა. ის თანაგრძნობა, რომელსაც გერმანია ბურებს უცხადებს, საქმის გარემოებას ვერაფრით შესცვლის. გაჭირვების დროს გრძნობების გავლენის ქვეშ კი არ უნდა ვმოქმედებდეთ, საქმე უნდა გარეშე პირობებს დაწვრილებით შევუწონოთ. სამშვიდობო შუამდგომლობა მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლებელი, როდესაც ორივე მოწინააღმდეგე მხარე თანხმობას განაცხადებს; უამისოდ შუამდგომლობა ძალაობად გადიქცეოდა. ასეთ საქმეში ჩარევა, საქვეყნო საქმეთა მდგომარეობისა გამო და გერძოდ გერმანიის სარგებლობისათვის ჩვენთვის შეუძლებელი იყო. თვით ის სახელმწიფონიც-კი, რომელნიც სამშვიდობო შუამდგომლობის შესახებ სჯიდნენ, აღიარებდნენ, რომ არავითარი სურვილი არა გვაქვს ინგლისს ძალა დავატანოთო. (ყური უგდეთ! ყური უგდეთ!) როდესაც საქმეში ჩარევისა და შუამდგომლობის შესახებ ამერიკიდგან ინგლისში ამბავი მოვიდა, ინგლისმა გარდაუწყვეტილად უარი სთქვა და ოფიციალურადაც განაცხადა იგი. თუ რომ საქმეში ჩარევა მიზანს ვერ მიაღწევს ხოლმე, მაშინ საქმე შეიარაღებულის განხეთქილებითა თავდება. თუ რომ ასეთს ომში არ ჩავეთრეოდით, მაშინ, შილლერის ჭაბუკისა არ იყოს, თანამგზავრნი ხომ მაინც ნელ-ნელა ჩამოგვეცლებოდნენ და ნახევარ გზაზედ სულ მარტოდ დავრჩებოდით. გერმანიის ერს ასეთს მდგომარეობაში ვერ ჩავაყენებდით. რაც შეეხება იმას, რომ იმპერატორმა კრიუგერი არ ინახულა, აქაც საყურადღებო ის-კი არ არის, თუ რა უხერხულობა და შორით შორისი უკმაყოფილება მოჰყვა, არამედ ის, კრიუგერის მიღებით ან თითონ მას, ან ჩვენს თავს დავაკმაყოფილებდით თუ არა? ამ კითხვის შესახებ მე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს მზად და ეს პასუხია—არა. მითხარით, პარიჟის დიდმა სანახაობითა და აღტაცებით მიღებამ კრიუგერს რა შეჰმატა? დელკასსესთან ლაპარაკის დროს კრიუგერმა მხოლოდ შემდეგი სთქვა: როგორ შეეგებება საფრანგეთის მთავრობა იმ ნაყოფს, რომელსაც იგი ამ მოგზაურობის შედეგად მოელის? ამაზედ დელკასსემ ის პასუხი მისცა, რომ საფრანგეთს თავისით საქმეში ჩარევა არ შეუძლიან, მაგრამ არც წინააღმდეგობას გაუწევს, თუ რომ ამას იკისრებს ვინმეო. (სიცილია) მითხარით ახლა, კრიუგერი ისევ ისე ცარიელი დარჩა თუ არა? დელკასსემ მეტად ფრთხილადა და გონივრულად უპასუხა, სწორედ ისე, როგორც მისებრ დიდებულს სახელმწიფო მოღვაწეს შეეფერებოდა. ამაზედ უკეთესს მეც ვერარასფერს შევიძლებდი ბერლინში (ხმამაღლად იცინიან) მეც მხოლოდ იმას ვეტყოდი, რაც პარიჟში უთხრეს პრეზიდენტის კრიუგერის ბერლინში მოსვლა ქვეყნის თვალში ბეწვის ტოლაც არ აგვწევდა. კრიუგერის პატივსაცემლად აქ გარდახდილი დღესასწაულობა მხოლოდ უსარგებლო შეშხუნის ტკაცუნი იქნებოდა, ან-და ჩვენს ქვეყანას აზარალებდა იმითი, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებას სრულიად შესცვლიდა. ამ დამოკიდებულებათა დაცვას-კი მთავრობა თავისს მოვალეობადა სთვლის. ინგლისისაგან გერმანია არაფრით დამოკიდებული არ არის ისრევე, როგორც ინგლისი გერმანიისაგან, მაგრამ საურთიერთო სარგებლობისათვის საჭიროდ ვთვლით ერთ-ურთ შორის მშვიდობიანობა და მეგობრობა დავიცვათ. ინგლისის საქმეში რომ დონ კიხოტობა ჩავიდინოთ, ეს სისულელედ მიმაჩნია და ამისათვის არც თუ რაიმე პასუხისმგებლობას ვკისრულობ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ და ანგარიშში არც მოვტყუვდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი საქმე სამხრეთ აფრიკის ომის გათავების შემდეგაც დიდხანს უცვლელად დარჩება. ხალხის სულის ვითარება კარგად მესმის, მისს გრძნობებს დიდად ვაფასებ, მაგრამ პოლიტიკური გამჭრიახობა მას არ უნდა ჰმორჩილებდეს. მე უნდა ერის მუდმივის ინტერესებით ვხელმძღვანელობდე და ამისათვის-კი დამოუკიდებელი, მშვიდობიანი და მიუდგომელად თავის დაჭერაა საჭიროო. (სიტყვა მოწონებულ იქმნა).

## სასამართლოს მატიანე

წარსულ კვირაში ტფილისის მეორე განყოფილების სისხლის სამართლის მომრიგებელ-მოსამართლემ განიხილა საყურადღებო საქმე ალექსანდრე ბ. ბუჭუაშვილისა და ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის მცხოვრების ივანე ლევანის ძის ზაქარაშვილისა, რომელსაც ბუჭუაშვილი უჩიოდა, გულმოსულობის დროს „ТЫ“ მითხრა და ამით შეურაცხყოფა მომაყენაო. როგორც სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, ივ. ზაქარაშვილი ა. ბუჭუაშვილთან ყოფილა მზარეულად. რადგანაც ზაქარაშვილს ნებით ჯამაგირი ვერ აუღია, სასამართლოში უჩივლია და სასამართლოს ბოქაულთან ერთად მისულა ბუჭუაშვილის სახლში, თითონ კარში დარჩენილა და ბოქაულს მიუმართავს ბუჭუაშვილისათვის ფულის სათხოვნელად. შემდეგ დაუძახნიათ ზაქარაშვილისათვის, რომლისათვისაც, როგორც თვით განაცხადა, ბუჭუაშვილს დაუყვირია, „დამეკარგე აქედგანაო“, ამაზედ ზაქარაშვილს უპასუხნია, „მე აქედგან არ წავალ, ვიდრე ჩემს ფულს არ მომცემთო“. ბუჭუაშვილს საჩივარი დაუწყვია, ზაქარაშვილმა შეურაცხყოფა მომაყენა და „ТЫ“ მითხრაო. საქმის განხილვის დროს მოწმემ სასამართლოს ბოქაულმა განაცხადა, რომ მე „ТЫ“ არ გამიგონიაო. მოსამართლემ ურჩია ბუჭუაშვილს მორიგებით გაეთავებინა საქმე, მაგრამ მან უარი განაცხადა და სთქვა, ზაქარაშვილმა ისეთი შეურაცხება მომაყენა, რომ უნდა დაისაჯოსო. რამდენისამე ხნის შემდეგ მომრიგებელმა მოსამართლემ გამოაცხადა თვისი განაჩენი, რომლითაც ივანე ზაქარაშვილი გაამართლა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

შესანიშნავმა იაპონელმა მკურნალმა კიტიზატომ ახალის მეცნიერო აღმოჩენით ისახელა თავი. კიტიზატოს აღმოუჩენია შავის ჭირის ახალი ბაცილა, რომელიც მკურნალ იერსენის მიერ აღმოჩენილ ბაცილისაგან განსხვავდება თურმე. როგორც ვუწყით, იერსენმა განსაკუთრებული სითხე მოამზადა შავ ჭირიანების სარჩენად. ამ სითხით ზოგიერთი ავადმყოფი ხელად რჩება, მაგრამ სამაგიეროდ სითხე ზოგს ავადმყოფს ვერა სძლევს და ვერ არჩენს. ეს გარემოება ძალიან აკვირვებდა როგორც თვით იერსენს, აგრეთვე სხვა მკურნალთაც. ეხლა კიტიზატო ამტკიცებს, იერსენის სითხე არ არჩენს ისეთ შავ ჭირიანებს, რომელთაც ეს ახლად აღმოჩენილი ბაცილები აქვთო. კიტიზატოს უკვე გამოუგონია ახალი სითხე, რომელიც ადვილად მოარჩენსო ისეთ ავადმყოფს, რომელსაც იერსენის სითხე ვერ არჩენს.

*
* *

ლორდ სოლსბერის, როგორც ინგლისის პირველ მინისტრს და სახელმწიფო ბეჭდის შემნახველს, წელიწადში 50,000 მანეთი ჯამაგირი აქვს. სოლსბერის შვილი კრანბორნი გარეშე საქმეთა სამინისტროს მეორე მდივანი, წელიწადში 15,000 მანეთს იღებს. ძმისწულებსაც კარგი ჯამაგირი აქვთ: ხაზინის ლორდს არტურ ბალფურს—50,000 მანეთი და სავაჭრო დეპარტამენტის პრეზიდენტს ჯერალდ ბალფურს—40,000 მანეთი. სოლსბერის სიძეს ლორდ სელბორნს ეძლევა 45,000 მანეთი და მშვენიერი სადგომი; ხოლო ამ სელბორნის ნათესავს ლოვტერს, გზათა სამინისტროს მოხელეს,—25,000 მ. ამგვარად ლორდი სოლსბერი და იმისი მახლობელი ნათესავნი წელიწადში 200,000 მანეთს იღებენ.

*
* *

მკითხველებმა, ეჭვი არ არის, იციან, რა არის „ლინჩის სამართალი“. ეს „სამართალი“ ამერიკაში შემოიღეს და დღესაც ხშირად ხმარობენ, თუმცა კანონი ძალიანა სდევნის. სამართალი კი არა, უსამართლობაა იგი: ბრბო საქმის გამოუძიებლად სიცოცხლეს უსპობს დამნაშავეს. უფრო ხშირად ამ „სამართალს“ ამერიკელნი ზანგების წინააღმდეგ ხმარობენ. აი, ამას წინადაც ჩრდილოეთ ამერიკაში ამ სამართლით გამოასალმეს წუთი სოფელს ერთი ახალგაზდა თექვსმეტის წლის ზანგი. ამ ზანგს თეთრკანიანი პატარა ბავშვი მოუკლავს. მკვლელი მოხელეებმა დააპატიმრეს, რათა ჩვეულებრივად სამართალში მიეცათ, მაგრამ ბრბომ არ დაუცადა ამ სამართალს, ძალით გამოიყვანა დამნაშავე საპყრობილედგან და მოედანზედ წაათრია. იქ მცირე თათბირის შემდეგ დაადგინეს კოცონზედ დასწვან. თქმა და ასრულება ერთი იყო. დაანთეს უშველებელი ცეცხლი და დამნაშავე შიგ გადისროლეს.

*
* *

შეჩვეული ჭირიც-კი კარგიაო, ამბობენ და მართალიც არის. ზოგი იმდენად ეჩვევა ისეთ ჭირსაც-კი, როგორიც, მაგალითად, საპყრობილეა, რომ იქიდგან გამოსვლა აღარ უნდა. ასეთი მაგალითები ამას წინად იტალიაში მომხდარა. საზოგადო ამნისტიის წყალობით იქ მრავალი დაპატიმრებული და დამწყვდეული გაუნთავისუფლებიათ. ამათ შორის ყოფილან ისეთნიც, რომელთაც ნახევარი სიცოცხლე საპყრობილეში გაუტარებიათ. ქ. პორტოფერრაიოს საპყრობილიდგან გაანთავისუფლეს ვინმე ველტრამო, რომელიც 22 წელიწადი მჯდარა საპყრობილეში. როდესაც დირექტორს გამოუცხადებია, თავისუფალი ხარო, ველტრამს მწარედ დაუწყვია ტირილი, აქ ცხოვრებას შევეჩვიე და ეხლა სად უნდა წავიდეო. რათა საპყრობილე ივე დაეტოვებინათ, ველტრამოს დიდის ხნის საიდუმლოც-კი აღარ დაუმალავს და წინად ჩადენილი ორი ბოროტმოქმედება გაუმჟღავნებია. როდესაც არც ამისთვის მიუქცევიათ ყურადღება, ბორკილი მოუხსნიათ და უთქვამთ, მიბრძანდიო, განთავისუფლებულს ტირილით გამოუცხადებია, წავალ და ზღვაში გადავარდებიო. ბოლონიაში ერთ განთავისუფლებულ პატიმარს უთქვამს, მე ამას ვერ ავიტანო, და იქვე პოლიციელთა თვალ-წინ მესამე სართულის ფანჯრიდგან ძირს გადავარდნილა. იტალიაში საშინელი გაჭირვებაა. სამუშაო ძნელი საშოვარია და საკვირველი არ არის, რომ დაპატიმრებულთ განთავისუფლება არ უნდოდეთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 დეკემბერი

**შანჰაი.** იმპერატორმა მისწერა შეადგინონ ახალი რწმუნების წერილები ლიხუნგჩანგისა და ცინისათვის, ასე რომ იმათ შეძლება ექმნებათ მოლაპარაკება გაჰმართონ მოკავშირე სახელმწიფოებთან. ამათ უფლება აქვთ მიცემული ისარგებლონ იმპერატორის ბეჭედით, რომელიც პეკინშია დატოვებული.

**შანჰაი.** ჩრდილოეთიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ „დიდ მუშტს“ პეკინსა და ტიანძინს ახლო თავისი მოღვაწეობა განუახლებია. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ზოგიერთ უცხო ქვეყნელთ საიდუმლო ვაჭრობა აქვთ იარაღისაო შანჰაის და ოტაის ხმა-ამოუღებელის თანხმობითაო.

**მაინის ფრანკფურტი.** ტიანძინიდგან იუწყებიან, რომ მთავარ სადგური მეხუთე რაზმისა, რომელიც 1-დგან 7 ოქტომბრამდე გერმანიის სამხედრო დარაჯს ეჭირა, დაიწვა იმ დროს, როდესაც რაზმი საექსპედიციოდ იყო წასულიო.

**ბერლინი.** „გნეიზენაუს“ დაღუპვის შესახებ შემდეგი ოფიციალური ცნობებია მიღებული. მალაგის გერმანელი ელჩი პრიზი დეპეშით იუწყება: „სამწუხარო მოვალეობის აღსასრულებლად გაცნობებთ, რომ გემი „გნეიზენაუ“, რომელიც ნავთსადგურს გარეშე იყო და სროლის ვარჯიში ჰქონდა, დღეს, დილის 10 საათზედ, დიდის ფრთონის გამო დაეჯახა გარეთა ნავთსადგურის აღმოსავლეთს კედელს და დაიმსხვრა. ვშიშობ, რომ მრავალნი დაიღუპნენ და მათ შორის გემის უფროსი კრეჩმანი“. კაპიტანი-ლეიტენანტი ვერნერი, უფროსი გემის აფიცერი გადარჩენილთა შორის, იუწყება: უბედურება დაემართა გემს მალაგის ყურეში. გემი სრულიად დაიღუპა. გემის მოხელე-მოსამსახურეთა უმეტესობა გადარჩენილია; საშემწეო მუშაობანი ჯერ არ არის დაბოლოვებული“. ვერნერს დაუყოვნებლივ მიეწერა დეპეშით გამოგზავნოს ცნობანი დაღუპულთა ვინაობის შესახებ.

5 დეკემბერი

**მასერუ.** დევეტი ორისა თუ სამის ათასის კაცით კვლავ გამოჩნდა ტაბანჩუს ახლო-მახლო და თავს დაეცა ლანზერგსა და ვარინგამსტორს, და სამჯერ მტკიცე იერიში მიიტანა ბრიტანიის ჯარზედ. უკანასკნელს იერიშს ჰხელმძღვანელობდა თვით დევეტი და მან გაარღვია ინგლისის ჯარის მიერ შეკრული გზა თავისის ჯარის ნაშთით. ინგლისელებს დავლად დარჩათ ერთი ზარბაზანი და თხუთმეტი ეტლი, დატვირთული სამხედრო სამზადისით, დინამიტითა და სურსათით. მეორე რაზმი ბურებისა, რომელსაც უნდოდა დაეჭირა ტაბანჩუს გასავალი, უკუ-ქცეულ იქმნა. გაასხრუკის რაზმიც, რომელსაც უნდოდა გზა გაეხსნა თავისთვის სპრინგკანტის გასავლით და რომელსაც ორი ზარბაზანი ჰქონდა, დამარცხებულ იქმნა და 40 კაცი დაეხოცა.

**ბერლინი.** მალაგაში მყოფი გერმანიის ელჩი იუწყება, რომ „გნეიზენაუზედ“ ალბად დაიღუპა 38 კაცი, მათ შორის გემის უფროსი კრეჩმანი, უფროსი აფიცერი ვერრინგაუზი და უფროსი ინჟენერი პრიუფერიო.

**ლონდონი.** ხმა დადის: დეპეშაა მიღებული, რომელიც იცნობება, რომ დღეს ბრძოლა მომხდარა ბურთა 2,000 კაცისაგან შემდგარ რაზმის წინააღმდეგ, რომელიც ამას წინად შეკავებულ იქმნა გასავალში ს მხრეთიო. ბრძოლა რამდენსამე საათს გაგრძელებულა. ბურები ორანჟეს მდინარეზედ გარს შემორტყმულ იქმნენ და სრულიად დამარცხებულ. ბურები დიდად არიან დაზარალებულნი, უმეტესი რიცხვი ტყვედ არის წაყვანილი.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ ინგლისის ელჩი სატოუ თხოულობს შეცვლას ჩინეთის მიმართ ერთობილის ნოტის ერთის მუხლისას, რომელიც ელჩებს ღირსშესამჩნევად მიაჩნიათ. ეს მოლაპარაკებას კვლავ გაახანგრძლივებს, რადგან ელჩებმა კვლავ მიწერ-მოწერა უნდა გაჰმართონ თავისს მთავრობებთან. ელჩები არაფერს არ იცნობებიან აღძრულ პასუხთა გამო, მაგრამ აღიარებენ კი, რომ მისის წყალობით ხანგრძლივი სადიპლომატიო თათბირი იქმნება საჭიროო.

**პეკინი.** ლიხუნჩანგი ინფლუენციით გახდა ავად. გერმანიის ელჩის მკურნალი სწამლობს.

## ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო, „მუშათა კითხვა“, პროფ. ნ. რაიპესბერგისა, თარგმანი თ. კიკვაძის მიერ, გამოცემა მუშისა. წიგნი კარგის ქართულის ენით არის ნათარგმნი და მშვენივრად გამოცემული — დაბეჭდილია კარგ ქაღალდზედ და სუფთად. ღირს წიგნი სამ შაურად.


## განცხადებანი

ახლად გაღებულის ხის

# ნახშირის საწყობში

(ვერის მოედანზედ, ყაფანთან)

# საუკეთესო ღირსების ნახშირი წონით ისყიდება

ფუთი ათ შაურად (50 კ.). მყიდველს მიეცემა ბარათი, რომელშიაც აღნიშნული იქნება რაოდენობა წონისა და მიცემულის ფასისა.

(ö —2 łö — 2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 го Декабря 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე